



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობები



შესაბამისობის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

----- ნოე ქაშიბაძე

31 ოქტომბერი 2017 წელი

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
წარმომადგენლობა

ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
წარმომადგენლობა

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
წარმომადგენლობა

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის
ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
წარმომადგენლობა

აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N53/36

2016 წლის 1 იანვარი - 2017 წლის 1 იანვარი

შინაარსი

შემოკლებანი.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	8
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	8
აუდიტის მიზანი.....	9
აუდიტის მასშტაბი	9
აუდიტის საგანი	9
კრიტერიუმები	10
აუდიტის ანგარიშის ფორმა.....	12
ორგანიზაციების მოკლე მიმოხილვა	12
1. საბიუჯეტო სახსრები (სოციალური დახმარებები).....	13
2. არაფინანსური აქტივები.....	15
3. შრომის ანაზღაურება	17
4. სახელმწიფო შესყიდვები	17
5. შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება	18
6. სატრანსპორტო ხარჯების კონტროლი.....	21
7. ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული დოკუმენტაცია	21
8. საბიუჯეტო დეფიციტის მართვა	23
9. წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა.....	25

შემოკლებანი

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა - იმერეთის წარმომადგენლობა;

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა - სამეგრელოს წარმომადგენლობა;

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა - აღმოსავლეთის წარმომადგენლობა;

ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა - ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობა;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა - წარმომადგენლობა.

შემაჯამებელი მიმოხილვა

1. დადგენილი წესის მოთხოვნების მიუხედავად (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გამცემ კომისიას თვეში ერთხელ მაინც უნდა ჩატარებინა სხდომა), იმერეთის წარმომადგენლობაში 2016 წლის მარტში, მაისში, ივნისსა და აგვისტოში (ჯამში განსახილველად შემოსული იყო 136 განცხადება), ხოლო სამეგრელოს წარმომადგენლობაში 2016 წლის მაისში, ივნისსა და სექტემბერში (ჯამში განსახილველად შემოსული იყო 112 განცხადება) სხდომები არ ჩატარებულა, რითაც არ იქნა დაცული ერთჯერადი დახმარების განხილვისა და გაცემის პერიოდულობა, რამაც შექმნა თანხების არათანაბარზომიერად გაცემის (ხარჯვის) რისკები (გვ. 13);

2. იმერეთის წარმომადგენლობაში არაფინანსური აქტივების აღრიცხვის ორგანიზებასა და მოვლა-შენახვაზე, არ იყო უზრუნველყოფილი სრული კონტროლი. კერძოდ, ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად ზედმეტობად გამოვლენილი 12 ერთეული აქტივი კვლავ არ იყო შეფასებული და აყვანილი ბალანსზე. შესაბამისად აღნიშნული აქტივების აღურიცხაობამ გავლენა იქონია ფინანსური ანგარიშგების სისრულესა და სიზუსტეზე (გვ. 15);

3. აღმოსავლეთის წარმომადგენლობამ 2015 წლის 30 ნოემბერს ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირი N89/24-ში მდებარე შენობის მე-13 სართულზე არსებული

ფართიდან (527.67 კვ.მ) 45კვ.მ. სარგებლობის უფლებით გადასცა სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს“. თუმცა, აღნიშნული ფართის გადაცემის თანხობრივად აღრიცხვა საბუღალტრო რეგისტრებში (ბალანსში) არ მომხდარა და საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული. გარდა აღნიშნულისა, განთავსების (ქონების გადმოცემის) თაობაზე შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის არარსებობის მიუხედავად წარმომადგენლობა კვლავ სარგებლობდა ქ. თბილისში კ. ხეთაგუროვის N2-ში არსებული (170კვ.მ) ფართით.

ზემოაღნიშნულით ადგილი ჰქონდა აქტივების არასწორად აღრიცხვას და განკარგვას, რაც არსებით გავლენას ახდენდა ფინანსური ანგარიშგების უტყუარობასა და სიზუსტეზე (გვ. 16);

4. იმერეთის წარმომადგენლობაში 22,180.00 ლარის პრემიების გაცემის შესახებ გამოცემული ბრძანებების (32 ბრძანება) დასაბუთებებში არცერთ შემთხვევაში, არ იყო მითითებული ინფორმაცია მიმდინარე წლის განმავლობაში აღნიშნულ პირებზე გაცემული პრემიების შესახებ, რაც არ იძლეოდა სრულ ინფორმაციას საბიუჯეტო სახსრების ეფექტურად განკარგვის თაობაზე (გვ. 17);

5. განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით დადგინდა:

- აღმოსავლეთის წარმომადგენლობაში სახელმწიფო შესყიდვების გეგმა ელექტრონულ სისტემაში ატვირთული იყო დაგვიანებით. გაფორმებული 107 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებიდან 4 შემთხვევაში ხელშეკრულება ელექტრონულ სისტემაში ატვირთული იყო დაგვიანებით, ასევე 19 შემთხვევაში დაგვიანებით იყო ატვირთული შესრულება/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და 6 შემთხვევაში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- სამეგრელოს წარმომადგენლობაში ხელშეკრულებების დადებისას 10 შემთხვევაში არ იყო გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების ან/და სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში არ იყო ატვირთული განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის შესრულება/შეუსრულებლობის დოკუმენტი - 62 შემთხვევაში, ხოლო გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი - 36 შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ გამოვლენილ ფაქტებს ფინანსურ შედეგების კუთხით რაიმე გავლენა არ ჰქონია, ფაქტობრივად არ იყო უზრუნველყოფილი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის ასახვა ან დროულად შეტანა, რაც ქმნიდა საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურად განკარგვის რისკებს (გვ. 17);

6. 2016 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში:

- ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 5 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა - 20,670.00 ლარი. რაც წარმომადგენლობაში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების - 65%, ხოლო შტატით მომუშავეთა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების - 13 %-ია;

- იმერეთის წარმომადგენლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 7 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა - 26,300.00 ლარი. რაც წარმომადგენლობაში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების - 40%, ხოლო შტატით მომუშავეთა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების - 10 %-ია;

- აღმოსავლეთის წარმომადგენლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 11 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა - 49,650.00 ლარი. რაც წარმომადგენლობაში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების - 47%, ხოლო შტატით მომუშავეთა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების - 10 %-ია;

- სამეგრელოს წარმომადგენლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 8 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა - 34,798.77 ლარი. რაც წარმომადგენლობაში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების - 36%, ხოლო შტატით მომუშავეთა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების - 8 %-ია;

მოპოვებული მტკიცებულებებით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად და იმ პირობებში, როდესაც უმეტეს შემთხვევაში ფაქტობრივად ვერ დასტურდებოდა შტატგარეშე მომუშავეთა დასაქირავებლად გაწეული ხარჯების გადაუდებელი აუცილებლობა, გაცემული თანხები წარმოადგენდა არაეკონომიურად და არაეფექტიანად გახარჯულ სახსრებს. (გვ. 18);

7. დადგენილი წესის შესაბამისად, სამორიგეო ავტომობილით სარგებლობის მოწესრიგებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, სამეგრელოს წარმომადგენლობაში უნდა ეწარმოებინათ ჟურნალი, სადაც მოხდებოდა ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოსარგებლე პირის, მარშრუტის, გასვლისა და დაბრუნების დროის შესახებ მონაცემების აღნიშვნა. მიუხედავად იმისა, რომ სამორიგეო ავტომობილებზე (2 ავტომობილზე) წლის განმავლობაში გაიხარჯა 6,444.97 ლარი (მთლიანი ტრანსპორტის ხარჯის 19,687.77 ლარის 33%), მათი სარგებლობის მოწესრიგებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით საერთოდ არ იყო ნაწარმოები შესაბამისი ჟურნალი.

ყოველივე ზემოაღნიშნულით ფაქტობრივად შეიქმნა აქტივებისა და საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურად და არამიზნობრივად განკარგვის (ხარჯვის) რისკები (გვ.21);

8. გრძელვადიანი არაფინანსური აქტივებისა და მატერიალური მარაგების აღრიცხვა-განკარგვის კუთხით დადგინდა:

- იმერეთის წარმომადგენლობას არასრულად და არასწორად ჰქონდა შევსებული ბალანსის დანართი ფორმები, კერძოდ: 4,135.75 ლარის ღირებულების გრძელვადიანი

მცირეფასიანი აქტივების მიღება-გასვლა (ხარჯებში ჩამოწერა) არ იყო ასახული ფინანსური ანგარიშგების დანართ ფორმა N5-ში;

- ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობაში 608.99 ლარის ღირებულების გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების და 295.20 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგების მიღება-გასვლა ბალანსის დანართი ფორმა N5-ში ასახული არ ყოფილა;

- სამეგრელოს წარმომადგენლობაში ბალანსის დანართი ფორმა N3-ში შეცდომით იყო წარმოდგენილი ძირითადი კაპიტალის მუხლში ნაჩვენები 672.88 ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივების გადაცემა. რაც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით უნდა აღრიცხულიყო ფორმა N3-ის გრანტების მუხლში; 1,000.00 ლარის ღირებულების გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების მიღება-გასვლა (ხარჯებში ჩამოწერა) არ იყო ნაჩვენები ფინანსური ანგარიშგების დანართ ფორმა N5-ში;

- აღმოსავლეთის წარმომადგენლობის მიერ 2016 წელს შეძენილი 2,148.09 ლარის გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა და 2,159.31 ლარის მატერიალური მარაგების მიღება/გასვლა (ხარჯებში ჩამოწერა) არ იყო ნაჩვენები ბალანსის დანართი ფორმა N5-ის შესაბამის მუხლში;

გარდა ზემოაღნიშნულისა, ყველა წარმომადგენლობაში 375.00 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივი წარმომადგენლობების მიერ აღიარებულ იქნა, როგორც ძირითადი საშუალება და დაერიცხა ცვეთა თითოეულ შემთხვევაში 37.50 ლარის ოდენობით (აღმოსავლეთის და სამეგრელოს წარმომადგენლობის გარდა). ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აღნიშნული აქტივი წარმოადგენდა მცირეფასიან გრძელვადიან აქტივს, რომელსაც ცვეთა არ უნდა დარიცხვოდა. აღნიშნულით, მართალია არაარსებითად, მაგრამ მაინც არასწორად გაიზარდა ფაქტობრივი საბიუჯეტო ხარჯები, რამაც გავლენა იქონია აღრიცხვის სისწორეზე;

ამრიგად, ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილი ინფორმაციები ვერ ასახავდა რეალურ მდგომარეობას, რაც გავლენას ახდენდა ფინანსური ანგარიშგებების სისრულესა და სიზუსტეზე (გვ. 21);

9. საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების შესაბამისად „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 2016 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა ყოფილიყო 2015 წლის საკასო ხარჯზე მეტი. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ადგილი არ ჰქონია ორგანიზაციის ფუნქციებისა და კომპეტენციის არსებით ზრდას:

- იმერეთის, წარმომადგენლობის მიერ 2016 წელს შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება გაიზარდა 3%-ით.

- ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობის მიერ 2016 წელს შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება გაიზარდა 3%-ით.

ზემოაღნიშნული მიუთითებს საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ძირითადი პრინციპების უზრუნველყოფის არაეფექტურობაზე (გვ. 23);

10. საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების შესაბამისად უნდა შეზღუდულიყო წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსება განსაკუთრებული აუცილებლობის გარეშე. სამეგრელოს წარმომადგენლობის წარმომადგენლობითმა ხარჯმა (სარესტორნო მომსახურებამ 10 შემთხვევაში) ჯამში შეადგინა 2,000.00 ლარი. წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა წინასწარ განსაზღვრული არ ყოფილა. წარმომადგენლობამ ვერც ფაქტობრივად ჩატარებული ღონისძიებების (ოფიციალური სტუმრების) იდენტიფიცირება შეძლო. ასეთ პირობებში მიუხედავად იმისა, რომ აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით დადგინდა, რომ თანხები გადარიცხულია რესტორნებში, უდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებები თუ რა განსაკუთრებული (გადაუდებელი) აუცილებლობით იყო გამოწვეული აღნიშნული ხარჯების გაწევა.

ზემოაღნიშნული მიუთითებს „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მთავრობის განკარგულების უგულვებელყოფასა და საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურ ხარჯვაზე (გვ. 24);

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1: იმერეთისა და სამეგრელოს წარმომადგენლობებში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ უფლებამოსილება განახორციელოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დადგენილებით დამტკიცებული წესით მოთხოვნილი პერიოდულობის დაცვით (გვ.15);

რეკომენდაცია N2: იმერეთის წარმომადგენლობის მიერ ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სხვაობების რეგულირება მოხდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესისა და ინსტრუქციის სრული დაცვით (გვ. 16);

რეკომენდაცია N3: აღმოსავლეთის წარმომადგენლობის მიერ სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და ბალანსზე აყვანა განხორციელდეს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების შესახებ დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად (გვ. 16);

რეკომენდაცია N4: იმერეთის წარმომადგენლობის თანამშრომელთა წახალისება მოხდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული პრემიის გაცემის წესის მოთხოვნათა დაცვით, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეფექტურად განკარგვისათვის სრული ინფორმაციის წარმოდგენას (გვ. 17);

რეკომენდაცია N5: აღმოსავლეთის და სამეგრელოს წარმომადგენლობებში შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი დოკუმენტაციის დროულად ატვირთვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა (გვ. 18);

რეკომენდაცია N6: წარმომადგენლობებში შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმება განხორციელდეს საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული

დაცვით და მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად ხარჯვას (გვ. 20);

რეკომენდაცია N7: სამეგრელოს წარმომადგენლობაში შემუშავდეს შიდა კონტროლის სისტემა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, რათა მოხდეს რესურსების ეკონომიურად გამოყენება და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სამსახურეობრივი ავტომანქანების გამოყენების წესის მოთხოვნათა სრული დაცვა (გვ. 21);

რეკომენდაცია N8: წარმომადგენლობებში ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება განხორციელდეს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების ფორმებში განხორციელდეს შესაბამისი კორექტირებები და დაზუსტებები, რაც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისწორეს და სისრულეს (გვ. 22);

რეკომენდაცია N9: იმერეთის და ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობებში საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა (გვ. 24);

რეკომენდაცია N10: სამეგრელოს წარმომადგენლობაში საქართველოს მთავრობის განკარგულების ძირითადი მიზნების განხორციელების უზრუნველსაყოფად, მხედველობაში იქნეს მიღებული ამ განკარგულებით დადგენილი შეზღუდვები და სათანადოდ იქნას არგუმენტირებული გაწეული ხარჯების აუცილებლობა (გვ. 25).

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშესაბამოებები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (სას) პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმომადგენლობების მიერ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით 2016 წლის საბიუჯეტო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის შესაბამისობის შესახებ. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4100)

შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შესაბამეა თუ არა წარმომადგენლობების მიერ 2016 წელს საბიუჯეტო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენება და ხარჯვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტის მიზანი

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის, ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის და იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ 2016 წელს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის შესაბამისობის აუდიტის მიზანია:

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით, იმის შესახებ თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა წარმომადგენლობების მიერ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით 2016 წელს საბიუჯეტო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის შესაბამისობა:

- 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება;
- 2016 წელს საქმიანობის განსახორციელებლად მიღებული დაფინანსება, მიმდინარე და კაპიტალიზირებული ხარჯები;
- ნორმატიული აქტებით წარმომადგენლობაზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მდგომარეობა;

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა: დაფინანსება (ასიგნებები); არაფინანსური აქტივები; დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები; შრომის ანაზღაურების, მივლინების, სატრანსპორტო და წარმომადგენლობითი ხარჯები; სოციალური დახმარებები;

განხორციელებული შესყიდვები;

კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;
- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულება „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილება „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N 172 დადგენილება „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 21 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანება „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №7 „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ის „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13 გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 13 მარტის დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის №39 დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N 28 დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომატქანების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 25 იანვრის N3 დადგენილება - „იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 25 იანვრის N4 დადგენილება - „სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 25 ნოემბრის N22 დადგენილება - „ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 25 იანვრის N2 დადგენილება - „აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 15 იანვრის N2 დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 15 იანვრის N3 დადგენილება "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ორგანიზაციების მოკლე მიმოხილვა

ზემო აფხაზეთის, იმერეთის, აღმოსავლეთის და სამეგრელოს წარმომადგენლობები:

- წარმომადგენლობების უფლებამოსილება ვრცელდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან - ზემო აფხაზეთიდან; იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების; ქ. თბილისის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მუნიციპალიტეტების და სამეგრელო-ზემო

სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მადიებელ) პირებზე;

- უფლებამოსილების ფარგლებში წარმომადგენლობები აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული (დევნილის სტატუსის მადიებელი) პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ხელშეწყობის მიზნით ახორციელებენ სახელმწიფო დაწესებულებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობას;
- შეიმუშავენ და აფხაზეთის მთავრობას განსახილველად წარუდგენენ მოსაზრებებს სტრატეგიული კურსისა და ამ მიმართულებით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ. ამ მიზნით შეიმუშავენ შესაბამის ინიციატივებსა და წინადადებებს. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ საქმიანობის კოორდინაციას მათ შორის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობის დასაქმების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობას;
- შეიმუშავენ და წარმართავენ წარმომადგენლობების კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროებში პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებებს;
- უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფენ წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადების, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას (ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობის გარდა);
- ადგენენ და ასრულებენ წარმომადგენლობების ბიუჯეტს, ასევე სოციალური და ეკონომიკური ხასიათის მიზნობრივ პროგრამებს, აღრიცხავენ, ფლობენ, სარგებლობენ და განკარგავენ წარმომადგენლობების საკუთრებას;
- კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრეზიდენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და აფხაზეთის მთავრობის აქტებით მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლს;
- უზრუნველყოფენ საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ამოცანების გადაწყვეტას;
- ფინანსდებიან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან;
- ფინანსურ ანგარიშგებას წარუდგენენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

1. საბიუჯეტო სახსრები (სოციალური დახმარებები)

იმერეთის წარმომადგენლობა:

წარმომადგენლობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გამცემი კომისიის (კომისიის) მეშვეობით ახორციელებდა დევნილთა სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში (პროგრამული

კოდი 14 02), ერთჯერადი დახმარებების გაცემას იძულებით გადაადგილებულ პირებზე 100-200 ლარის ფარგლებში.

კომისიის ოქმების შესწავლით გაირკვა, რომ დადგენილი წესის¹ მოთხოვნების მიუხედავად (კომისიას თვეში ერთხელ მაინც უნდა ჩაეტარებინა სხდომა), 2016 წლის მარტში (განსახილველად მიღებული იყო 93 განცხადება), მაისში (განსახილველად მიღებული იყო 15 განცხადება), ივნისსა (განსახილველად მიღებული იყო 21 განცხადება) და აგვისტოში (განსახილველად მიღებული იყო 7 განცხადება) სხდომები არ ჩატარებულა, რითაც არ იქნა დაცული ერთჯერადი დახმარების განხილვისა და გაცემის პერიოდულობა და რამაც შექმნა თანხების არათანაბარზომიერად გაცემის (ხარჯვის) რისკები.

სამეგრელოს წარმომადგენლობა:

წარმომადგენლობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გამცემი კომისიის (შემდეგში კომისია) მეშვეობით ახორციელებდა დევნილთა სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში (პროგრამული კოდი 13 02), ერთჯერადი დახმარებების გაცემას იძულებით გადაადგილებულ პირებზე 100-200 ლარის ფარგლებში.

დადგენილი წესის² მოთხოვნების მიუხედავად (კომისიას თვეში ერთხელ მაინც უნდა ჩაეტარებინა სხდომა), 2016 წლის მაისში (განსახილველად მიღებული იყო 44 განცხადება), ივნისსა (განსახილველად მიღებული იყო 40 განცხადება) და სექტემბერში (განსახილველად მიღებული იყო 28 განცხადება) სხდომები არ ჩატარებულა. აღნიშნულით არ იქნა დაცული ერთჯერადი დახმარების გაცემის პერიოდულობა, რამაც შექმნა თანხების არათანაბარზომიერად გაცემის (ხარჯვის) რისკები.

კომისიის მიერ განხილულ განცხადებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ბენეფიციარების ინფორმირება, უარის შემთხვევაში ხდებოდა წერილობითი შეტყობინებით ფოსტის მეშვეობით, ხოლო სხვა შემთხვევაში (დადებითი პასუხი, განსახილველად შემდეგ სხდომაზე გადადებული) ბენეფიციარებს ინფორმაცია არ მიეწოდებოდათ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.³

დასკვნა

დადგენილი წესის მოთხოვნების მიუხედავად (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გამცემ კომისიას თვეში ერთხელ

¹ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 23 იანვრის N1 დადგენილებით დამტკიცებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი;

² აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 23 იანვრის N1 დადგენილებით დამტკიცებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი;

³ საქართველოს კანონის - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლის პირველი პუნქტი;

მაინც უნდა ჩაეტარებინა სხდომა), იმერეთის წარმომადგენლობაში 2016 წლის მარტში, მაისში, ივნისსა და აგვისტოში (ჯამში განსახილველად შემოსული იყო 136 განცხადება), ხოლო სამეგრელოს წარმომადგენლობაში 2016 წლის მაისში, ივნისსა და სექტემბერში (ჯამში განსახილველად შემოსული იყო 112 განცხადება) სხდომები არ ჩატარებულა, რითაც არ იქნა დაცული ერთჯერადი დახმარების განხილვისა და გაცემის პერიოდულობა, რამაც შექმნა თანხების არათანაბარზომიერად გაცემის (ხარჯვის) რისკები.

რეკომენდაცია იმერეთის და სამეგრელოს წარმომადგენლობებს:

იმერეთის და სამეგრელოს წარმომადგენლობებში შექმნილმა სპეციალურმა კომისიებმა უფლებამოსილება განახორციელონ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დადგენილებით დამტკიცებული წესით მოთხოვნილი პერიოდულობით, ხოლო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობა დაინტერესებული მხარისთვის მოხდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით.

2. არაფინანსური აქტივები

იმერეთის წარმომადგენლობა:

2016 წლის განმავლობაში წარმომადგენლობაში არაფინანსური აქტივების აღრიცხვის ორგანიზებასა და მოვლა-შენახვაზე, არ იყო უზრუნველყოფილი სრული კონტროლი. კერძოდ, როგორც წინა აუდიტისას, ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად ზედმეტობად გამოვლენილი 12 ერთეული აქტივი კვლავ არ იყო შეფასებული და აყვანილი ბალანსზე.⁴

სას-ის მიერ წინა აუდიტით გამოვლენილ გარემოებებზე გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით, წარმომადგენლობამ წერილით⁵ აცნობა სას-ს, რომ აღნიშნული ნაკლოვანებები გამოსწორდებოდა. თუმცა, ზემოხსენებული საკითხის გამოსასწორებლად არანაირი ქმედითი ღონისძიება არ განხორციელებულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა აქტივების არსწორად აღრიცხვას (განკარგვას), რაც არსებით გავლენას ახდენდა ფინანსური ანგარიშგების სიზუსტეზე.

დასკვნა

არაფინანსური აქტივების აღრიცხვის ორგანიზებასა და მოვლა-შენახვაზე, არ იყო უზრუნველყოფილი სრული კონტროლი. კერძოდ, ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად ზედმეტობად გამოვლენილი 12 ერთეული აქტივი კვლავ არ იყო შეფასებული და

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის N 605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი;

⁵ 2015 წლის 9 ნოემბრის N 01/57 წერილი;

აყვანილი ბალანსზე. შესაბამისად აღნიშნული აქტივების აღურიცხაობამ გავლენა იქონია ფინანსური ანგარიშგების სისრულესა და სიზუსტეზე.

რეკომენდაცია იმერეთის წარმომადგენლობას:

იმერეთის წარმომადგენლობის მიერ ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სხვაობების რეგულირება მოხდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესისა და ინსტრუქციის სრული დაცვით.

აღმოსავლეთის წარმომადგენლობა:

წარმომადგენლობამ 2015 წლის 30 ნოემბერს ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირი N89/24 მდებარე შენობის მე-13 სართულზე არსებული ფართიდან (527.67 კვ.მ) 45კვ.მ. სარგებლობის უფლებით გადასცა სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს“. თუმცა, აღნიშნული ფართის გადაცემის თანხობრივად აღრიცხვა საბუღალტრო რეგისტრებში (ბალანსში) არ მომხდარა⁶ და საჯარო რეესტრში ის რეგისტრირებულია, როგორც წარმომადგენლობის საკუთრება;

განთავსების (ქონების გადმოცემის) თაობაზე შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის არარსებობის მიუხედავად წარმომადგენლობა სარგებლობდა ქ. თბილისში კ. ხეთაგუროვის N2-ში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული (170კვ.მ) ფართით;⁷

დასკვნა

აღმოსავლეთის წარმომადგენლობაში ერთ შემთხვევაში შესაბამისი ფართის (ქონების) საბუღალტრო რეგისტრებში აღურიცხაობის, ხოლო მეორე შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის არარსებობის გამო, ადგილი ჰქონდა აქტივების უკანონოდ განკარგვას და არასწორად აღრიცხვას, რაც არსებით გავლენას ახდენდა ფინანსური ანგარიშგების უტყუარობასა და სიზუსტეზე.

რეკომენდაცია აღმოსავლეთის წარმომადგენლობას:

აღმოსავლეთის წარმომადგენლობის მიერ სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და ბალანსზე აყვანა განხორციელდეს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად.

⁶ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი და 23-ე მუხლის პირველი და მე-14 პუნქტები; „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-10 პუნქტი;

⁷ სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტები;

3. შრომის ანაზღაურება

იმერეთის წარმომადგენლობა:

დასაქმებული პირის შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის არარსებობის გამო პრემიების გაცემა ხდებოდა დასაბუთების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ თანამშრომელზე გაცემული პრემიის ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდა პრემიის ოდენობის წესით დადგენილ ნორმებს, 22,180.00 ლარის პრემიების გაცემის შესახებ გამოცემული ბრძანებების (32 ბრძანება) დასაბუთებებში არცერთ შემთხვევაში, არ იყო მითითებული ინფორმაცია მიმდინარე წლის განმავლობაში აღნიშნულ პირზე გაცემული პრემიების შესახებ.

დასკვნა

იმერეთის წარმომადგენლობაში 22,180.00 ლარის პრემიების გაცემასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებების დასაბუთებებში შესაბამისი ინფორმაციის მიუთითებლობით არ იყო დაცული მოქმედი წესის⁸ მოთხოვნები, რის გამოც სრული ინფორმაციის უქონლობა ზრდიდა საბიუჯეტო სახსრების არეფექტურად განკარგვის რისკებს;

რეკომენდაცია იმერეთის წარმომადგენლობას:

თანამშრომელთა წახალისება მოხდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული პრემიის გაცემის წესის მოთხოვნათა დაცვით, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეფექტურად განკარგვისათვის სრული ინფორმაციის წარმოდგენას.

4. სახელმწიფო შესყიდვები

აღმოსავლეთის წარმომადგენლობა:

სახელმწიფო შესყიდვების გეგმა ელექტრონულ სისტემაში ატვირთული იყო 5 დღის დაგვიანებით (ნაცვლად 2015 წლის 21 ნოემბრისა, გეგმა აიტვირთა 2015 წლის 26 ნოემბერს)⁹;

2016 წელს გაფორმებული 107 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებიდან 4 შემთხვევაში ხელშეკრულება ელექტრონულ სისტემაში ატვირთული იყო დაგვიანებით, ასევე 19 შემთხვევაში დაგვიანებით იყო ატვირთული შესრულება/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, საგადასახადო ანგარიშფაქტურა) და 6 შემთხვევაში ფაქტობრივად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საგადასახადო მოთხოვნა).¹⁰

⁸ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის N39 დადგენილების - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი;

⁹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი;

¹⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2 „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი; სახელმწიფო შესყიდვის

სამეგრელოს წარმომადგენლობა:

2016 წელს გაფორმებული 67 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებიდან 10 შემთხვევაში არ იყო გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ხელშეკრულებების მოქმედების ვადა სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების ან/და სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას¹¹. ასევე, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში 62 შემთხვევაში არ იყო ატვირთული განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის შესრულება/შეუსრულებლობის დოკუმენტი, ხოლო 36 შემთხვევაში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი¹².

დასკვნა

აღმოსავლეთისა და სამეგრელოს წარმომადგენლობებში, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გამოვლენილ ფაქტებს ფინანსურ შედეგების კუთხით რაიმე გავლენა არ ჰქონია, ფაქტობრივად არ იყო უზრუნველყოფილი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის ასახვა ან დროულად შეტანა, რაც ქმნიდა საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურად განკარგვის რისკებს.

რეკომენდაცია სამეგრელოს წარმომადგენლობას:

სახელმწიფო შესყიდვების გეგმა ელექტრონულ სისტემაში აიტვირთოს შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ვადებში, ხოლო ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი დოკუმენტაციის დროულად ატვირთვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა.

5. შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება**ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობა, იმერეთის წარმომადგენლობა, აღმოსავლეთის წარმომადგენლობა, სამეგრელოს წარმომადგენლობა:**

აუდიტის პერიოდში ადგილი ჰქონდა წარმომადგენლობებში შტატგარეშე მომუშავეთა მიერ მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესრულებისა და ხანგრძლივი პერიოდით დასაქმების ფაქტებს, კერძოდ:

- ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობაში შტატით მომუშავეთა რიცხოვნება ფაქტობრივად შეადგენდა 11 ერთეულს, 2016 წლის გარკვეულ პერიოდში (6 თვემდე) ან მთელი წლის განმავლობაში (6-12 თვე), დასაქმებული იყო შტატგარეშე 5 მომუშავე (ანუ

სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N 13 „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი;

¹¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2015 წლის ბრძანება N13 „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი;

¹² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება - „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი;

შტატით მომუშავეთა რაოდენობასთან მიმართებაში 45%)¹³ და მათზე ანაზღაურდა 20,670.00 ლარი, რაც წარმომადგენლობაში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (30,018.68 ლარის) 65 %-ია, ხოლო შტატით მომუშავეთა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (162,066.50 ლარის) 13 %;

- იმერეთის წარმომადგენლობაში შტატით მომუშავეთა რიცხოვნება ფაქტობრივად შეადგენდა 27 ერთეულს, 2016 წლის გარკვეულ პერიოდში (6 თვემდე) ან მთელი წლის განმავლობაში (6-12 თვე), დასაქმებული იყო შტატგარეშე 7 მომუშავე (ანუ შტატით მომუშავეთა რაოდენობასთან მიმართებაში 26%)¹⁴ და მათზე ანაზღაურდა 26,300.00 ლარი, რაც წარმომადგენლობაში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (66,361.22 ლარის) 40 %-ია, ხოლო შტატით მომუშავეთა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (271,119.96 ლარის) 10%;

- აღმოსავლეთის წარმომადგენლობაში შტატით მომუშავეთა რიცხოვნება ფაქტობრივად შეადგენდა 53 ერთეულს, 2016 წლის გარკვეულ პერიოდში (6 თვემდე) ან მთელი წლის განმავლობაში (6-12 თვე), დასაქმებული იყო შტატგარეშე 11 მომუშავე (ანუ შტატით მომუშავეთა რაოდენობასთან მიმართებაში 21%)¹⁵ და მათზე ანაზღაურდა 49,650.00 ლარი, რაც წარმომადგენლობაში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (104,970.53 ლარის) 47 %-ია, ხოლო შტატით მომუშავეთა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (479,262.44 ლარის) 10 %;

- სამეგრელოს წარმომადგენლობაში შტატით მომუშავეთა რიცხოვნება ფაქტობრივად შეადგენდა 49 ერთეულს, 2016 წლის გარკვეულ პერიოდში (6 თვემდე) ან მთელი წლის განმავლობაში (6-12 თვე), დასაქმებული იყო შტატგარეშე 8 მომუშავე (ანუ შტატით მომუშავეთა რაოდენობასთან მიმართებაში 16%)¹⁶ და მათზე ანაზღაურდა 34,798.77 ლარი, რაც წარმომადგენლობაში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (95,624.06 ლარის) 36 %-ია, ხოლო შტატით მომუშავეთა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (479,262.44 ლარის) 8 %.

კანონმდებლობის თანახმად,¹⁷ შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. წარმოდგენილი ინფორმაციებით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება წარმომადგენლობებში ხდებოდა პერიოდულად წარმოქმნილი გარემოებების საჭიროებებიდან გამომდინარე. თუმცა, მოპოვებული მტკიცებულებებით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. კერძოდ: ა) ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობაში 3 შტატგარეშე პირი (დამლაგებლის გამოკლებით) აყვანილი იყო 6-12 თვის განმავლობაში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად და მათზე ანაზღაურდა 14,420.00 ლარი (თვეში საშუალოდ 550-570 ლარი). ამასთან, შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ 2016 წლის განმავლობაში მომუშავე 2

¹³ 5/11 X 100;

¹⁴ 7/27 X 100;

¹⁵ 11/53 X 100;

¹⁶ 8/49 X 100;

¹⁷ საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-8 მუხლი და 23-მე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი;

შტატგარეშე მოსამსახურე წარმომადგენლობაში მუშაობდა 2015 წელსაც (11-12 თვით); ბ) იმერეთის წარმომადგენლობაში 3 შტატგარეშე პირი (მძღოლის და დამლაგებლის გამოკლებით) აყვანილი იყო 8-12 თვის განმავლობაში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად და მათზე ანაზღაურდა 16,000.00 ლარი. ამასთან, შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ 2016 წლის განმავლობაში მომუშავე 2 შტატგარეშე მოსამსახურე წარმომადგენლობაში მუშაობდა 2015 წელსაც (5-12 თვით) და ასრულებდა მათზე თავდაპირველად დაკისრებულ სამუშაოებს (მოვალეობებს); გ) აღმოსავლეთის წარმომადგენლობაში შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. კერძოდ, 7 შტატგარეშე (დამლაგებლების გამოკლებით) პირი აყვანილი იყო 6-12 თვის განმავლობაში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად და მათზე ანაზღაურდა 34,000.00 ლარი (თვეში 500.00 ლარი); ამასთან, შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ 2016 წლის განმავლობაში მომუშავე 8 შტატგარეშე მოსამსახურე წარმომადგენლობაში მუშაობდა 2015 წელსაც (4-12 თვით) და მათგან რვავე ასრულებდა მათზე თავდაპირველად დაკისრებულ სამუშაოებს (მოვალეობებს); დ) სამეგრელოს წარმომადგენლობაში შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. კერძოდ, 6 შტატგარეშე პირი აყვანილი იყო 9 თვის განმავლობაში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად და მათზე ანაზღაურდა 26,709.05 ლარი. ამასთან, შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ 2016 წლის განმავლობაში მომუშავე 5 შტატგარეშე მოსამსახურე წარმომადგენლობაში მუშაობდა 2015 წელსაც (6-12 თვით) და ასრულებდა მათზე თავდაპირველად დაკისრებულ სამუშაოებს (მოვალეობებს).

ამასთან, შტატგარეშე მომუშავეთა მიერ მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესრულების და ხანგრძლივი პერიოდით დასაქმების მიუხედავად, იმერეთისა და სამეგრელოს წარმომადგენლობებს ზემდგომი დაწესებულებებისადმი დამატებითი შტატის გამოყოფის მიზნით არანაირი წინადადებით, მოთხოვნით ან სხვა ოფიციალური დოკუმენტით არ მიუმართავს.

დასკვნა

აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობებში უმეტეს შემთხვევაში ფაქტობრივად ვერ დასტურდებოდა შტატგარეშე მომუშავეთა დასაქირავებლად გაწეული ხარჯების გადაუდებელი აუცილებლობა, რის გამოც გაცემული თანხები წარმოადგენდა არაეკონომიურად და არაეფექტიანად გახარჯულ სახსრებს.¹⁸

რეკომენდაცია წარმომადგენლობებს:

შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმება განხორციელდეს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, არამუდმივ

¹⁸ საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტი;

ამოცანათა შესასრულებლად, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ და ეფექტიან ხარჯვას.

6. სატრანსპორტო ხარჯების კონტროლი

სამეგრელოს წარმომადგენლობა:

დადგენილი წესის¹⁹ შესაბამისად, სამორიგეო ავტომობილით სარგებლობის მოწესრიგებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, სამეგრელოს წარმომადგენლობაში უნდა ეწარმოებინათ ჟურნალი, სადაც მოხდებოდა ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოსარგებლე პირის, მარშრუტის, გასვლისა და დაბრუნების დროის შესახებ მონაცემების აღნიშვნა. მიუხედავად იმისა, რომ სამორიგეო ავტომობილებზე (2 ავტომობილზე) წლის განმავლობაში გაიხარჯა 6,444.97 ლარი (მთლიანი ტრანსპორტის ხარჯის 19,687.77 ლარის 33%), მათი სარგებლობის მოწესრიგებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით საერთოდ არ იყო ნაწარმოები შესაბამისი ჟურნალი.

დასკვნა

სამეგრელოს წარმომადგენლობაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების არასათანადოდ აღრიცხვის გამო, ფაქტობრივად შეიქმნა აქტივებისა და საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურად და არამიზნობრივად განკარგვის (ხარჯვის) რისკები.

რეკომენდაცია სამეგრელოს წარმომადგენლობას:

შემუშავდეს შიდა კონტროლის სისტემა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, რათა მოხდეს რესურსების ეკონომიურად გამოყენება და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის მოთხოვნათა სრული დაცვა.

7. ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული დოკუმენტაცია

იმერეთის წარმომადგენლობა, ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობა, სამეგრელოს წარმომადგენლობა, აღმოსავლეთის წარმომადგენლობა:

აუდიტის პერიოდში ადგილი ჰქონდა წარმომადგენლობებში ფინანსური ანგარიშგების არასრულად და არასწორად შევსების ფაქტებს:

- იმერეთის წარმომადგენლობას არასრულად და არასწორად ჰქონდა შევსებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1, N2, N3 და ფორმა N5.²⁰ კერძოდ:

¹⁹ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N 28 დადგენილების - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი;

²⁰ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

- ბალანსის დანართ ფორმა N5-ში არ იყო ასახული 4,135.75 ლარის ღირებულების გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების მიღება-გასვლა (ხარჯებში ჩამოწერა);
- ბალანსის დანართ ფორმა N2-ში ოფისის ხარჯები 17,780.00 ლარის ნაცვლად, არასწორად იყო ასახული 17,180.00 ლარის ოდენობით²¹;
 - ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობას არასრულად და არასწორად ჰქონდა შევსებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1, N2, N3 და ფორმა N5.²² კერძოდ:
- ბალანსის დანართ ფორმა N5-ში არ იყო ასახული 608.99 ლარის ღირებულების გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების და 295.20 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგების მიღება-გასვლა (ხარჯებში ჩამოწერა);
 - სამეგრელოს წარმომადგენლობას არასრულად და არასწორად ჰქონდა ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1, N2, N3 და ფორმა N5.²³ კერძოდ:
- ბალანსის დანართი ფორმა N3-ში შეცდომით იყო წარმოდგენილი ძირითადი კაპიტალის მუხლში ნაჩვენები 672.88 ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივების გადაცემა. რაც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით უნდა აღრიცხულიყო ფორმა N3-ის გრანტების მუხლში;
- ბალანსის დანართ ფორმა N5-ში არ იყო ასახული 1,000.00 ლარის ღირებულების გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების მიღება-გასვლა (ხარჯებში ჩამოწერა);
- ბალანსის დანართ ფორმა N5-ში 1000.00 ლარის ღირებულების გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების მიღება-გასვლა (ხარჯებში ჩამოწერა) არ იყო ნაჩვენები;
- აღმოსავლეთის წარმომადგენლობას არასრულად და არასწორად ჰქონდა ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1 და N5.²⁴ კერძოდ:
- წარმომადგენლობის მიერ 2016 წელს შეძენილი 2,148.09 ლარის გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა და 2,159.31 ლარის მატერიალური მარაგების მიღება/გასვლა (ხარჯებში ჩამოწერა) არ იყო ნაჩვენები ბალანსის დანართი ფორმა N5-ის შესაბამის მუხლში;

გარდა ზემოაღნიშნულისა, ყველა წარმომადგენლობაში 375.00 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივი (ვებ-გვერდი) აღიარებულ იქნა ძირითადი საშუალებად და დაერიცხა ცვეთა 37.50 ლარის ოდენობით (აღმოსავლეთის და სამეგრელოს წარმომადგენლობის გარდა). თუმცა მოქმედი კანონმდებლობის²⁵ თანახმად აღნიშნული აქტივი შინაარსიდან გამომდინარე წარმოადგენდა მცირეფასიან გრძელვადიან საშუალებას

²¹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

²² საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

²³ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

²⁴ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

²⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ინსტრუქციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი;

და ცვეთა არ უნდა დარიცხვოდ. აღნიშნულით, მართალია არაარსებითად, მაგრამ მაინც არასწორად გაიზარდა ფაქტობრივი საბიუჯეტო ხარჯები, რამაც გავლენა იქონია აღრიცხვის სისწორეზე.

დასკვნა

აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობების ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილი ინფორმაციები ვერ ასახავდა რეალურ მდგომარეობას, რაც გავლენას ახდენდა ფინანსური ანგარიშგებების სისრულესა და სიზუსტეზე, ანუ ფაქტიურად არ იყო უზრუნველყოფილი აღრიცხვა-ანგარიშგების უტყუარობა.

რეკომენდაცია წარმომადგენლობებს:

ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება განხორციელდეს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების ფორმებში განხორციელდეს შესაბამისი კორექტირებები და დაზუსტებები, რაც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისწორეს და სისრულეს.

8. საბიუჯეტო დეფიციტის მართვა

იმერეთის წარმომადგენლობა:

საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების შესაბამისად „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 2016 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა ყოფილიყო 2015 წლის საკასო ხარჯზე მეტი. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ადგილი არ ჰქონია ორგანიზაციის ფუნქციებისა და კომპეტენციის არსებით ზრდას, წარმომადგენლობის მიერ 2016 წელს შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება გაიზარდა 3%-ით.²⁶ კერძოდ:

N	ხარჯები	2015წლის საკასო ხარჯი	2016წლის საკასო ხარჯი	სხვაობა (3-2)	%
	1	2	3	4	5
1	შრომის ანაზღაურება	263,256.50	271, 119.96	7,863.46	3%
2	თანამდებობრივი სარგო	241,076.50	240,069.96	-1,006.54	0%
3	პრემია	22,180.00	31,050.00	8,870.00	40%

ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობა:

²⁶ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულება - „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მე-2 და მე-3 პუნქტები, დანართის პირველი პუნქტი;

საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების შესაბამისად „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 2016 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა ყოფილიყო 2015 წლის საკასო ხარჯზე მეტი. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ადგილი არ ჰქონია ორგანიზაციის ფუნქციებისა და კომპეტენციის არსებით ზრდას, წარმომადგენლობის მიერ 2016 წელს შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება გაიზარდა 3%-ით.²⁷ კერძოდ:

ხარჯები	2015წლის საკასო ხარჯი	2016წლის საკასო ხარჯი	სხვაობა (3-2)	%
1	2	3	4	5
შრომის ანაზღაურება	157,333.50	162,066.00	4,732.50	3%
თანამდებობრივი სარგო	131,503.50	132,360.00	856.50	1%
პრემია	25,830.00	29,706.00	3,876.00	15%

დასკვნა

იმერეთისა და ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობებში შრომის ანაზღაურების მუხლში წინა 2015 წელთან შედარებით საკასო ხარჯების მეტობა მიუთითებს საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ძირითადი პრინციპების უზრუნველყოფის არაეფექტურობაზე.²⁸

რეკომენდაცია იმერეთისა და ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობებს:

საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა.

სამეგრელოს წარმომადგენლობა:

საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების შესაბამისად უნდა შეზღუდულიყო წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსება განსაკუთრებული აუცილებლობის გარეშე. სამეგრელოს წარმომადგენლობის წარმომადგენლობითმა ხარჯმა (სარესტორნო მომსახურებამ 10 შემთხვევაში) ჯამში შეადგინა 2,000.00 ლარი. წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა წინასწარ განსაზღვრული არ ყოფილა. წარმომადგენლობამ ვერც ფაქტობრივად ჩატარებული ღონისძიებების (ოფიციალური სტუმრების) იდენტიფიცირება შეძლო. ასეთ პირობებში მიუხედავად იმისა, რომ აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით დადგინდა, რომ თანხები გადარიცხულია

²⁷ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულება - „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მე-2 და მე-3 პუნქტები, დანართის პირველი პუნქტი;

²⁸ საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შიდა კონტროლის შესახებ“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტი;

რესტორნებში, უდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებები თუ რა განსაკუთრებული (გადაუდებელი) აუცილებლობით იყო გამოწვეული აღნიშნული ხარჯების გაწევა²⁹.

დასკვნა

სამეგრელოს წარმომადგენლობაში წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით გაწეული ხარჯების არასათანადოდ დასაბუთებულობა, მიუთითებს „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მთავრობის განკარგულების უგულვებელყოფასა და საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურ ხარჯვაზე.

რეკომენდაცია სამეგრელოს წარმომადგენლობას:

საქართველოს მთავრობის განკარგულების ძირითადი მიზნების განხორციელების უზრუნველსაყოფად, მხედველობაში იქნეს მიღებული ამ განკარგულებით დადგენილი შეზღუდვები და სათანადოდ იქნას არგუმენტირებული გაწეული ხარჯების აუცილებლობა.

9. წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა

წინა აუდიტით გამოვლენილი რიგი ნაკლოვანებები წარმომადგენლობებში ჯერ კიდევ არ იყო გამოსწორებული, კერძოდ:

აღმოსავლეთის წარმომადგენლობა:

ძირითადი აქტივები

განთავსების (ქონების გადმოცემის) თაობაზე შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის არარსებობის მიუხედავად წარმომადგენლობა კვლავ სარგებლობდა ქ. თბილისში კ. ხეთაგუროვის N2–ში არსებული (170კვ.მ) ფართით;

შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება

კანონმდებლობის მოთხოვნის მიუხედავად, წარმომადგენლობაში შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება კვლავ ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით, მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. ჯამში აუდიტის პერიოდში დასაქმებული იყო 11 შტატგარეშე მომუშავე (წინა აუდიტით 10 შტატგარეშე მომუშავე) და მათზე ანაზღაურდა - 49.650.00 ლარი (წინა აუდიტით 51,300.00 ლარი).

ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობა:

²⁹ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულება - „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მე-2 პუნქტი, დანართის მე-7 პუნქტი;

შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება

კანონმდებლობის მოთხოვნის მიუხედავად, წარმომადგენლობაში შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება კვლავ ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით, მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. ჯამში აუდიტის პერიოდში დასაქმებული იყო შტატგარეშე 5 მომუშავე (წინა აუდიტით 5 შტატგარეშე მომუშავე) და მათზე ანაზღაურდა - 20,670.00 ლარი (წინა აუდიტით 27,066.66 ლარი).

სამეგრელოს წარმომადგენლობა:*შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება*

კანონმდებლობის მოთხოვნის მიუხედავად, წარმომადგენლობაში შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება კვლავ ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით, მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. ჯამში აუდიტის პერიოდში დასაქმებული იყო შტატგარეშე 8 მომუშავე (წინა აუდიტით 10 შტატგარეშე მომუშავე) მათზე ანაზღაურდა - ლარი 34,798.77 (წინა აუდიტით 42,244.92 ლარი);

საბიუჯეტო დეფიციტის მართვა

წარმომადგენლობითმა ხარჯმა წარმომადგენლობაში ჯამში შეადგინა 2,000.00 ლარი (წინა აუდიტით 4,531.60 ლარი). ისევე როგორც წინა აუდიტისას, წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით, ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა წინასწარ განსაზღვრული არ ყოფილა და მიუხედავად არსებული ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტებისა, აუდიტის ჯგუფისათვის კვლავაც ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები თუ რა განსაკუთრებული (გადაუდებელი) აუცილებლობით იყო გამოწვეული აღნიშნული ხარჯების გაწევა.

იმერეთის წარმომადგენლობა:*ძირითადი აქტივები*

2016 წლის განმავლობაში წარმომადგენლობაში არაფინანსური აქტივების აღრიცხვის ორგანიზებასა და მოვლა-შენახვაზე, არ იყო უზრუნველყოფილი სრული კონტროლი. კერძოდ, როგორც წინა აუდიტისას, ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად ზედმეტობად გამოვლენილი 12 ერთეული აქტივი კვლავ არ იყო შეფასებული და აყვანილი ბალანსზე.

შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება

კანონმდებლობის მოთხოვნის მიუხედავად, წარმომადგენლობაში შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება კვლავ ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით, მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. ჯამში აუდიტის პერიოდში დასაქმებული იყო 7 შტატგარეშე მომუშავე (წინა აუდიტით 7 შტატგარეშე მომუშავე) და მათზე ანაზღაურდა - 26,300.00 ლარი (წინა აუდიტით 26,400.00 ლარი);

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სას-ის მიერ დაფიქსირებული ნაკლოვანებების მიუხედავად, მდგომარეობის გამოსწორების კუთხით მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წელს, ორგანიზაციების მიერ რაიმე სახის არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა.

დასკვნა

აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობების მიერ რიგ შემთხვევებში არ იყო შესრულებული სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციები, რითაც იქმნებოდა საბიუჯეტო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების ეფექტიანად და ეკონომიურად გამოყენების და მართვის რისკები.

რეკომენდაცია წარმომადგენლობებს:

სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება უნდა მოხდეს სრულად და დროულად, რაც არსებითად შეუწყობს ხელს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად მართვას.

აუდიტორთა ხელმოწერები:

უფროსი აუდიტორი

აუდიტორ - ასისტენტი

აუდიტორ - ასისტენტი

31 ოქტომბერი 2017 წელი

ბონდო გასვიანი

მიხეილ გოდოლაძე

ნინო ბრეგვაძე

